ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 247 (20993) — ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მეტი ყურადღება დისციპლინასა და ორგანიზებულობას

ძნელი დღეები დაუდგა საქართველოს. ალბათ არ არის არც ერთი სფერო, სადაც არ დაგროვებულიყოს უამრავი სულ სხვადასხვაგვარი პრობლემა. ისინი გვაქვს რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და სულიერ ცხოვრებაშიც. თანაც, ამ პრობლემების უმრავლესობა არათუ არ ისსნება დღის წესრიგიდან, არამედ უფრო მწვავდება. კრიზისულ სიტუაციას ამლიერებს ხვალინდელი დღის ურწმუნობა. მატერიალური დეფიციტი იწვევს ზნეობის დეფიციტს. თავის აპოგეას მიაღწია თავნებობამ, თვითნებობამ, კანონიერების დარღვევებმა.

სად არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? ამ კითხვაზე პასუხის მოძებნას ცდილობდნენ 22 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართული თათბირის მონაწილენი, რომლის დღის წესრიგშა მოიცვა იმ პრობლემების ფართო სპექტრი, დღეს რომ აწუხებს ხალხს, თათბირზე მოწვეული იყვნენ აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ. მან დაახასიათა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება და შეეხო ამოცანებს, რომლებიც ხელისუფლების ორგანოთა წინაშე დგას საქართველოს მომავალი პარლამენტის დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანიის ახლადდელ, უაღრესად პასუხსაგებ — დამამთავრებელ ეტაპზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა დონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები, პრაქტიკულად დაზმარებას უნდა უწევდნენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა რესპუბლიკაში პირველმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა ორგანიზებულად, ახალი კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩაიაროს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვახტან ყვარაცხელიამ შეკრებილთ გააცნო ინფორმაცია იმაზე, თუ კონკრეტულად რით შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება. მან ილაპარაკა საარჩევნო კამპანიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების როლზე და ადგილზე არჩევნების მომზადებასა და ჯეროვან დონეზე ჩატარებაში, მათს პასუხისმგებლობაზე იმისათვის, რომ საქართველოს ბედისთვის ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანმა მოვლენამ მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში ჩაიაროს.

ორგანიზებულობასა და დისციპლინას მიეპყრო თავგანი ყურადღება თათბირზე დღის წესრიგიან სხვა საკითხების განხილვის დროსაც. და ეს ბუნებრივია, რამეთუ ისინი შეიხებოდა ადამიანთა საარსებო ინტერესებს, ამასთან მოითხოვს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ყველასა და თითოეულის ძალებისა და ენერგიის მაქსიმალურ დაძაბვას გაჭიანურებული კრიზისიდან რესპუბლიკის გამოსაყვანად.

ამაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტს, რომელთა პროექტების შედგენაზე ილაპარაკეს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ ჯაჯანიძემ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბენო ჯაფარიძემ. აღინიშნა, რომ ამ პროექტებზე მუშაობა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის, ფასების განუწყვეტელი ზრდის, საქონლის მწვავე დეფიციტის უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობს. რესპუბლიკის მიერ აღებულმა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მტკიცე და თანამიმდევრულმა კურსმა მის წინაშე ბევრი ახალი სერიოზული პრობლემა და სიძნელეები წამოჭრა. ისინი უკავშირდება უმთავრესად იმას, რომ შეზღუდულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები როგორც მრეწველობაში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. წინანდებურად ცენტრალურ მიწოდებებზე კი არ უნდა ვამყარებდეთ იმედს, არამედ პრიორიტეტს უნდა ვანაწილებდეთ რესპუბლიკებთან პირდაპირი ურთიერთხელსაყრელი კავშირურთიერთობის მოგვარებას. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული შრომითი კოლექტივების მიერ შინაგანი რეზერვების ძიებაზე, რისთვისაც მათ განუწყვეტლივ უნდა წარმართავდნენ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები. ჯერჯერობით საკმაოდ გვაქვს გადაუწყვეტელი პრობლემები ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთობა საგადასახადო ინსპექციებთან, რომლებიც ახლა ყველგან იქმნება.

თათბირზე საფუძვლიანი სკაბაასი გაიმართა იმის გამო, თუ როგორ ემზადება რესპუბლიკა ზამთრისათვის. რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ნიკოლოზ ნეფაძემა, საქართველოს სახელმწიფო გაზის კონცერნის თავმჯდომარემ ბახვა ლობჟანიძემ, ნათობპროდუქტებით მომარაგების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარემ გერმან მეძმარიაშვილმა, „საქენერგოს“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ მარლენ ძნელაძემ თათბირს მოგვმა (ამის შესახებ წერდა რესპუბლიკური პრესა) წამლობა 800 ჰექტარზე ჩატარდა 7 ათასი ჰექტარის მაგიერ. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო კალიფორნიის ფერიანას გამრავლებას და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობის გაზრებული მუშაობის, საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელთა ენერგიული საქმიანობის შედეგად მოხერხდა ბაღების ამ საშინელი მავნებლის დამარცხება.

საამისოდ, — ამბობს აგროსამრეწველო რაიონის კოლმეურნეობაში ყოფნისას, ნაცნობ ბრიგადირსა ვკითხე, რასა იქმთ, რა გაწუხებთ მეთქი. მითხრა, უმჯობესია ის ჩამოგითვალო, რაც არ მაწუხებს, თორემ სოფლელი კაცის უსუსურობაზე რომ გელაპარაკო, ამბავი გამოგრძელდებაო.

სოფელსა და სოფლის გასაჭირს, განაგრძობდა ბრიგადირი, ადრე მეტი გულისყურით ეკიდებოდნენ, ახლა როცა არავინ არაფერზე აგებს პასუხს, მოვალეობის ტვირთიც ამჩატდა; თანაგრძნობაც გამარტივდა. საკოლმეურნეო საქმეზე ვინმეს რამეს შესჩივლებ, მოგისმენს. დიდი-დიდი, უბის წიგნაკში მოინიშნოს, თავადაც გრძნობს, რომ ვერაფერს გიშველის, რაოგან ამ აწეწილ და დაულაგებელ [illegible] ყანაში, საინ[illegible] [illegible] ... ქალაქში. [illegible] ალებ უნდა, დაინიგნებ და შენახ[illegible] [illegible]დან თავიც ჩამოსატანი და პირუტყვიც ჩამოსარეკი. ქალაქის რაიონში ყოველწლიურად დაახლოებით 30 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ, აქედან 18-20 მილიონი მანეთისა მარტო ხილია. დიახ, მეხილეობა აქ წამყვანი დარგია და არაა გასაკვირი, რომ რაიონის საუკეთესო სპეციალისტები ამ დარგში არიან დასაქმებული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ისევე როგორც საწვავ-საცხები მასალების ხვედრითი წილი მეხილეობაში ასევე თვალსაჩინოა. და მაინც, უკანასკნელ წლებში უბედობამ დარია ხელი აქაურ მეხილეებს. აი, თუნდაც წლევანდელი სამეურნეო წელი: გაზაფხულის წაყინვებმა ჯერ იყო და ასობით ჰექტარ ხილის ბაღებს ჩამოაყრევინა ყვავილი, შემდგომ მინერალური ზეთების უქონლობის გამო (ამის შესახებ ... [illegible] ...) ... [illegible] ...) ... [illegible] ...)

წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების პროგრამებს

საარჩევნო ბლოკის „თავისუფლება“ წინასაარჩევნო პლატფორმა

ბლოკი „თავისუფლება“ ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებს ერისა და პიროვნების თავისუფლებას, ამიტომ ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას თავისუფლების უფლებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ზოგადკულტურული საკითხები.

ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო აქტებით გამოხატულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ქართველ ერს სრული უფლება აქვს თავად განსაზღვროს თავისი ქვეყნის შიგა და გარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გზა. საქართველოს შინაური პრობლემების გადაჭრისა და საკაცობრიო თანაარსებობაში მისი ისტორიის, კულტურის, მდიდარი ეროვნული ტრადიციების შესატყვისი ღირსეული ადგილის დამკვიდრების ერთადერთ გარანტად გვესახება საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამიტომ ბლოკი „თავისუფლება“ თავის უახლოეს მიზნად ისახავს 1921 წელს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფო სუვერენიტეტის საპარლამენტო გზით აღდგენას.

1. სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები

დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მიზანშეწონილ ფორმად მიგვაჩნია საპარლამენტო რესპუბლიკა. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს უნდა განსაზღვრავდეს **მუდმივმოქმედი უზენაესი საბჭო.**

არსებული სახელმწიფო მოწყობა ძირეულ რეორგანიზაციას საჭიროებს. სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზებული სისტემა უნდა შეიცვალოს დეცენტრალიზებულით, რაც ნიშნავს საქართველოს ტერიტორიულ ერთიულთათვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში **თვითმმართველობის** შესაბამისი სტატუსის მინიჭებას.

თვითმმართველობას საფუძვლად უნდა დაედოს მოცემულ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ არჩეულ და მათდამი ანგარიშვალდებულ ისეთ ორგანოთა სისტემა, რომლებიც კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი იქნებიან შესაბამისი ტერიტორიის თავისებურებებიდან და ამ ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო-კომუნალური საკითხები. ამისათვის საჭიროა სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციის ურთიერთგამიჯვნა. **თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ მის ამომრჩეველს და კანონს.**

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, კონსტიტუციის მიღების თუ ახალი სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს მოქალაქეთა ფართო უფლება-თავისუფლებათა აღიარება და მატივისცემა და მისი განხორციელების უზრუნველყოფის პრინციპი.

2. საქართველოს მოქალაქეთა ეროვნულ-კულტურული უფლებები

საქართველოს მრავალი ეროვნების ადამიანმა დაუკავშირა თავისი ბედი. სხვა და სხვა ეროვნების ადამიანთა თანაცხოვრების ისტორიული გზა განაპირობებს **რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანაბარ ეროვნებას.**

ეროვნული ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისას უნდა ვეყრდნობოდეთ საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ერთად ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებულ ჰუმანისტურ ტრადიციებსა და ნორმებს, საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებულ პიროვნების უფლებათა პრიორიტეტს.

საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში დასამკვიდრებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

— თავისი მოქალაქეებისთვის თანასწორი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებები და თავისუფლებები (მოქალაქეთა უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, ენის ან ეროვნებასთან დაკავშირებული სხვა ნიშნის მიხედვით დაუშვებელია);

— ქართული და აფხაზური კულტურისა და ენის განვითარება;

— ეროვნული ჯგუფების უფლებრივი გარანტიები (შექმნან ეროვნული კულტურული გაერთიანებები, რომელთა საქმიანობაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და მის ტერიტორიულ მთლიანობას; მიიღონ განათლება ქართულ, აფხაზურ ან სხვა ენაზე; მშობლიურ ენაზე აღსრულონ რელიგიური რიტუალები, მოიპოვონ და გაავრცელონ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით).

რესპუბლიკის ყველა მცხოვრები მოვალეა დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის **კონსტიტუცია და კანონები, გაუფრთხილდეს მის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას,** ერთიანებდეს ძალებს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მიღწევისა და განმტკიცებისათვის, პატივს სცემდეს მის სახელმწიფო ენას, კულტურას, ტრადიციებს.

3. საგარეო ურთიერთობანი

საქართველოს მონაწილეობა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავებასა და დადებაში მიუღებელია მისი, როგორც საერთაშორისო სამართალსუბიექტის, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ინტერესებისათვის.

საქართველოს ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკებთან, უცხო ქვეყნებთან თუ სხვა სახელმწიფოებთან უნდა ემყარებოდეს **ურთიერთხელსაყრელობისა და ურთიერთხარგებლიანობის** პრინციპს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანასწორუფლებიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დამყარება პასუხობს ორივე მხარის ეროვნულ ინტერესებს. ამასთან, სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა აღდგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების რსფსრ-ის მხრიდან უხეში დარღვევა, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს მსოფლიო ერთა თანაარსებობის, ევროპული და კავკასიური უსაფრთხოების პრობლემას.

კავკასიის რეგიონში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის გარანტად უნდა იქცეს კავკასიის საერთო სახლის შექმნა.

საქართველომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან.

საქართველო, ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობით წარმოადგენდა და კვლავაც უნდა წარმოადგენდეს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

საქართველო ევროპის შემადგენელი ნაწილია და აუცილებელია მისი მონაწილეობა ჰელსინკის პროცესში სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი.**

4. უშიშროება და თავდაცვა

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს მიუმხრობლობის პრინციპებს და მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა კონტინგენტის არსებობა.

საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათის უნდა იყოს და, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნისთვის ხელშეწყობას. ეს გარემოება წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და მისი სტრატეგიის განსაზღვრის წინაპირობას.

საქართველოს დეოკუპაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) 1921 წელს რსფსრ-ს მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის ფაქტი;

ბ) დემილიტარიზაციის პროცესი დასავლეთ-აღმოსავლეთ ბაზზე;

გ) საერთაშორისო განიარაღებისა და სტაბილიზაციის პრობლემები.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა ეტაპობრივი პროცესია. თავდაცვის სისტემა პროფესიული არმიის პრინციპებზე უნდა აიგოს. აუცილებელია ამ სისტემის ჩართვა საერთაშორისო სტაბილიზაციის პროცესებში.

5. სამართალი და კანონმდებლობა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა აუცილებლად გულისხმობს შესაბამისი **სამართლებრივი სისტემის** ჩამოყალიბებასაც. უკუგდებულ უნდა იქნეს სამართლის ტოტალიტარული გაგება, რომელიც დღემდე მყარად ზის საზოგადოებრივ ცნობიერებაში და რომლის თანაბრადაც სამართალი წარმოადგენს კლასობრივი ბატონობის, დათრგუნვის, დიქტატურის იარაღს. ამ გაგებით სამართლის ძირითადი მიზანია დასჯა, დაშინება, ტერორი. საჭიროა კი, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებების დაცვა.

სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს თავისუფლების, სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებზე დაფუძნებულმა სამართალმა და კანონმდებლობამ. ამისათვის აუცილებელია:

ა) ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად;

ბ) პოლიტიკური ხელისუფლების მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა — ერთი პირის, ერთი პოლიტიკური პარტიის ან ერთი ორგანოს მიერ ხელისუფლების მონოპოლიზაციისა და უზურპაციის შესაძლებლობის გამორიცხვა;

გ) საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის აღიარება და მისი განვითარებისათვის გარანტიების შექმნა;

დ) ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული კანონების უზენაესობის მიღწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კანონის წინაშე ყოველი მოქალაქის (მიუხედავად თანამდებობისა, ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ა. შ.) თანასწორობის უზრუნველყოფა.

ამ ამოცანათა განხორციელებამ მოქალაქეებს უნდა შეუქმნას **სოციალური დაცვის** მტკიცე გარანტიები. ეს, თავის მხრივ, უნდა გაზდეს წინაპირობა **სამართლებრივი რწმენის** ჩამოყალიბებისა, ე. ი. ისეთი ვითარების უზრუნველყოფისა, როდესაც მოსახლეობას სჯერა და მხარს უჭერს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართავს სასამართლოს, როგორც კანონიერი ინტერესების დამცველ ორგანოს, პატივს სცემს და იცავს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს, კანონს მიიჩნევს სამართლიანობის აღზევების გარანტად.

ამჟამად საქართველოში მოქმედი ე. წ. საკავშირო კანონმდებლობა არსებითად მიუღებელი და უცხოა ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქიკისათვის, ადათ-წესებისა და ტრადიციებისათვის. ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ქართული სამართლებრივი კულტურისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა ფართოდ გაზიარების საფუძველზე. სამართალგამოყენებით მოღვაწეობაში უნდა აღორძინდეს **სამართლებრივი ჩვეულებები,** რათა სახელმწიფო ორგანოები კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდნენ იმ ქცევის წესებით, რომლებიც მყარად ჩამოყალიბდა და მტკიცე ჩვეულების ხასიათი მიიღო.

სამართლებრივი რეფორმების განხორციელება უნდა მოიცავდეს იმ სოციალური ტრადიციების აუცილებელ საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რომლებიც ეროვნული სულისკვეთების მატარებელნი არიან.

კანონმდებლობის ძირეული შეცვლა, მისი ადამიანზე ორიენტაცია, მოითხოვს **ეკოლოგიური კანონმდებლობის** შემუშავებას, რომელმაც უნდა გამორიცხოს ან მაქსიმალურად შეამციროს გარემოსათვის მავნე და საფრთხის შემცველი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა.

6. სამართალდაცვის ორგანოები

სამართალდაცვის ორგანოების ძირითადი მოვალეობა უნდა გახდეს სახელმწიფოში **კანონიერების რეჟიმის დაცვა,** მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სადარაჯოზე დგომა და მას უნდა ჩამოშორდეს ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში მინიჭებული რეპრესიული, დამსჯელი ორგანოების როლი.

ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ საკანონმდებლო წესით უნდა გადაწყვიტოს სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა დეპოლიტიზაცია. სამართალდაცვის ორგანოებში მომსახურე მოქალაქენი არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრები. მათი საქმიანობა უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კანონს და დაზღვეული უნდა იყოს ყოველგვარი გარეშე ჩარევისაგან. სამართალდაცვის ორგანოებში მუშაობის დაწყების მომენტიდან მოქალაქენი ვალდებულნი არიან შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წევრობა.

ძირითადი, გამორჩეული ადგილი სამართალდაცვის ორგანოთა სისტემაში უნდა დაიკავოს სასამართლომ. ყველა დონის მოსამართლეები უნდა ირჩეოდნენ უვადოდ. ამ წესმა ხელი უნდა შეუწყოს **მოსამართლეთა დამოუკიდებლობის** განუხრელ დაცვას და მაღალპროფესიულ მოსამართლეთა კორპუსის ჩამოყალიბებას. ამავე დროს უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამართლის თანამდებობისათვის უღირსი პიროვნების გამოწვევის დემოკრატიულ წესს.

სასამართლო რეალურად უნდა იქცეს საზოგადოებაში წამოჭრილი სოციალური ხასიათის ყოველგვარი კონფლიქტის გადაჭრის პირუთვნელ და კვალიფიციურ ორგანოდ, რომლის საქმიანობა დამყარებული იქნება. მხოლოდ კანონზე და ნასაზრდოები — ეროვნული ტრადიციებითა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებით.

უზენაესი საბჭოს მიერ უმოკლეს ხანში უნდა გადაწყდეს **კონსტიტუციური სასამართლოს** შექმნა და მისი საქმიანობისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა.

რადიკალურად უნდა შეიცვალოს **პროკურატურის** არსებული ფუნქციები. მისი საქმიანობის ძირითადი მამართულება არ უნდა იყოს დანაშაულობასთან ბრძოლა. მას აუცილებლად უნდა გამოეყოს საგამოძიებო სამსახური. პროკურატურას უნდა ჰქონდეს მხოლოდ კანონთა ზუსტად შესრულებაზე ზედამხედველობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფუნქცია. საქართველოს პროკურატურას სათავეში უნდა ჩაუდგეს უზენაესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული გენერალური პროკურორი.

აუცილებლობითაა გამოწვეული ერთიანი, ცენტრალიზებული **საგამოძიებო აპარატის** შექმნა დამოუკიდებელი კომიტეტის სახით, რომელიც გააერთიანებს ამჟამად პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სისტემებში არსებულ საგამოძიებო სამსახურებს. საგამოძიებო კომიტეტის სათავეში უნდა იდგეს პარლამენტის მიერ არჩეული პიროვნება, რომელიც მხოლოდ კანონს დაემორჩილება. სწორმა საპროკურორო ზედამხედველობამ, სასამართლოების მხრიდან მკაცრმა კონტროლმა უნდა გამორიცხოს საგამოძიებო კომიტეტის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობა.

არსებითად უნდა გარდაიქმნას **შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობა.** მათმა საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს შინაგანი და გარე საშიშროებისაგან დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში უნდა შეიქმნას **კრიმინალური პოლიცია.** აუცილებელია შეიქმნას **მუნიციპალური პოლიციაც,** რომელიც დაიცავს საზოგადოებრივ წესრიგს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში და დაემორჩილება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, იქნება მათ მიუჯერებენ.

სამართალდაცვის ორგანოთა სისტემაში ყველაზე მტკივნეული და მოუგვარებელია **თავისუფლების აღკვეთის ადგილები,** სადაც დიდი ხანია უხეშად ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები. თავისუფლების აღკვეთის ადგილები უნდა გამოეყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და დაექვემდებაროს იუსტიციის სამინისტროს. აუცილებელია თავისუფლების აღკვეთის ადგილებისთვის პრინციპულად ახალი სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის შემუშავება, არსებული პენიტენციური პოლიტიკის შეცვლა უცხოური და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრომატობის პირობებში უნდა გაიზარდოს **ადვოკატისა და ადვოკატურის** როლი. ადვოკატურა უნდა იქცეს მოქალაქეთათვის საიმედო და პირუთვნელი სამართლებრივი მომსახურების უპირობო გარანტად. ამას ხელს შეუწყობს ადვოკატურის, როგორც ყოველგვარი უწყებისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

7. ეკონომიკა

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და საწარმოო პოტენციალი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რომელთა ეფექტიანად და ეროვნული ინტერესების შესაბამისად გამოყენება მხოლოდ დამოუკიდებლობის პირობებშია შესაძლებელი.

საქართველოს მოსახლეობა უნდა გახდეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ფაქტობრივი მესაკუთრე და უნდა აღდგეს სამეურნეო საქმიანობაზე რესპუბლიკის სუვერენიტეტი. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა კი უნდა ვიხელმძღვანელოთ გაერო-ს დადგენილებით „ბუნებრივი სიმდიდრეებისა და რესურსების თავისუფლად ექსპლუატაციის უფლების შესახებ“, დეკლარაციით ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დადგენის შესახებ, სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების. ქარტიით, ვენის კონვენციით „სახელმწიფოთა მიმართ სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ“.

უნდა გაუქმდეს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების საკავშირო და სავაჭრო-რესპუბლიკური დაქვემდებარება და ყველა მათგანზე გავრცელდეს **მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის** იურისდიქცია. საქართველოს ბიუჯეტი უნდა გამოეყოს საკავშირო ბიუჯეტს, ხოლო საქართველოს ბანკი — **სსრკ** სახელმწიფო ბანკს და ჩამოყალიბდეს საქართველოს ეროვნული ბანკი. ასევე უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი საბაჟო სამსახური.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ ქართული ეროვნული ტრადიციების, სამეურნეო ჩვევებისა და ურთიერთობების აღორძინების, კერძო საკუთრების აღდგენის პირობებში. ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დამყარდეს საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებას, საქონელმწარმოებლთა **სამეურნეო დამოუკიდებლობას და მეწარმეობის თავისუფლებას.**

საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნების საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის შექმნის, ოპტიმალური სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და მათი ეფექტიანად ფუნქციობის მიზნით აუცილებელია **პრივატიზაციის პროგრამის ეტაპობრივი გატარება.** მანამდე კი უნდა ჩატარდეს საქართველოს ეროვნული სამდიდრის **სრული ინვენტარიზაცია** და მოხდეს მისი ობიექტური ეკონომიკური შეფასება.

სამეურნეო საქმიანობა თავისუფალი უნდა იყოს ადმინისტრაციული დიქტატისაგან და ექვემდებარებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კანონების მოქმედებას. **ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო ორგანოების ჩაბანკი დამოუკიდებელი უნდა იყოს შეზღუდული,** ისინი უშუალოდ უნდა მართავდნენ მხოლოდ:

ა) იმ დარგებს, რომლებშიც საბაზრო მექანიზმი არ მოქმედებს;

ბ) იმ სფეროებს, სადაც საბაზრო მექანიზმის მოქმედება იწვევს არასასურველ შედეგებს (მაგალითად, ეკოლოგიურ გართულებებს, მონოპოლიების წარმონაქმნსა და ა. შ.);

გ) სოციალური სფეროს იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად.

მეწარმეობის სტიმულირება უწინარესად უნდა განხორციელდეს ოპტიმალური საგადასახადო სისტემის დაწესებით, **რეგრესიული გადასახადის** (რომელიც გულისხმობს საწარმოთა, ორგანიზაციათა შემოსავლის (მოგების) მოცულობის ზრდასთან ერთად საგადასახადო პროცენტის სდიდის კლებას თუ ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებული იქნება წარმოების შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე, ანალი სამუშაო ადგილების შექმნაზე) **ფართო გამოყენებით.**

საგადასახადო სისტემა უნდა გახდეს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი; მისი ყველა ღონისძიება უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში და მთავრობას არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაერიოს ამ სფეროში, შემოიღოს ახალი გადასახადი ან გაზარდოს მისი განაკვეთი.

თავისუფალი ეკონომიკის პირობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს **სადაზღვევო და ხაფინანსო** სფერომ. სადაზღვევო რეფორმას საფუძვლად უნდა დაედოს ორსაფეხურიანი სადაზღვევო სისტემა. ზედა საფეხურზე უნდა იყოს **საქართველოს ეროვნული ბანკი,** რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება საერთო სახელმწიფოებრივი საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ფულის მიმოქცევის რეგულირება, კომერციული ბანკების საქმიანობის კოორდინაცია და კანონმდებლობის ფარგლებში მათი კონტროლი, ეროვნული ფულის ერთეულის კურსის განსაზღვრა სხვა ქვეყნების ვალუტათა მიმართ, ვალუტის შესყიდვისა და რეალიზაციის ოპერაციების განხორციელება და ა. შ. **ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი უნდა იყოს მთავრობისაგან,** რათა იგი წყვეტდეს საერთო ეროვნულ პრობლემებს ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და არა პოლიტიკური მოსაზრებებით.

მეორე საფეხურზე უნდა იყოს კომერციულ საფუძველზე მოქმედი ყველა დანარჩენი ბანკი. მათი დაარსება შეეძლებათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირთ წილობრივ საფუძველზე ან საკაკი საზოგადოების სახით.

თავისუფალი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასიანი ქაღალდების მომოქცევას. ამდენად აუცილებელი იქნება მათი ორგანიზებული ბაზრის — **საფონდო ბირჟის** შექმნა.

ეროვნული ეკონომიკის შექმნა, სამეურნეო საქმიანობაზე სუვერენიტეტი, ეროვნული ბანკის ნორმალურად ფუნქციობა, რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის რეგულირება, საქართველოს ეკონომიკის დაცვა გარეშე გავლენისაგან შეუძლებელი იქნება ეროვნული ფულის გარეშე. აქედან გამომდინარე, **სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქართული ფულის — ეროვნული სავალუტო სისტემის აღდგენა.**

საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებისათვის ადამიანი უნდა იქცეს საკუთარი სამუშაო ძალის მესაკუთრედ, რაც საშუალებას მისცემს მას, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის სამუშაო ძალის მესაკუთრეს, წარმოების პროცესის შედეგად მიღოს კუთვნილი შემოსავალი. სამუშაო ძალაზე ფასი უნდა განისაზღვრებოდეს არა ცენტრალიზებულად სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ უპირატესად მასზე მოთხოვნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. ეს ამბილებს არა მარტო შრომის სტიმულებს, არამედ შესაძლებელს გახდის პიროვნებისა და მისი ოჯახის წევრების მოთხოვნილებები დაკმაყოფილდეს ლეგალური შემოსავლით.

აუცილებელია **შემოსავლების ინდექსაცია,** რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობის ყველა ფენას — პენსიონერებს, ინვალიდებს, შრომისუნარიანთ, დროებით უმუშევრებს, სტუდენტებს, მრავალშვილიან ოჯახებს — გარანტირებულ იქნენ ცხოვრების მინიმალური დონით. ამასთან, სისტემატურად უნდა ხდებოდეს ფასების ზრდის ინდექსის განსაზღვრა და შესაბამისად **საცხოვრებელი მინიმუმის** გადასინჯვა. შრომითი რესურსების მართვასა და მათი დასაქმების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ **შრომის ბირჟებმა.** უნდა შედგეს მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამა, რომელიც მოიცავს კადრების მომზადებისა და გადამზადების, მათი დარეგულირების და რეგიონული მობილურობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მცირე და საშუალო კერძო საწარმოების დაარსების სტიმულირებას და სხვა ღონისძიებებს.

არსებულ კრიზისულ პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მოსახლეობის **კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.** იგი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სოფლად იქნება **მეხაკუთრე,** რომელიც ნამდვილად დაინტერესდება საკუთარი შრომის შედეგებით. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე **გლეხური მეურნეობების** ჩამოყალიბება. მიწა შეიძლება გადაეცეს გლეხს **მოკლევადიან, გრძელვადიან და მუდმივ სარგებლობაში, აგრეთვე კერძო საკუთრებაში.** მას უფლება უნდა ჰქონდეს აწარმოოს პროდუქცია თავის შეხედულებისამებრ და სამეურნეო საქმიანობა წარმართოს დამოუკიდებლად. სახელმწიფომ კი ხელი უნდა შეუწყოს სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების, კოოპერატივების შექმნას და ფუნქციობას, მათთვის **შეღავათიანი კრედიტის, საგადასახადო შეღავათების** დაწესებას და ა. შ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული უნდა იქნეს **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის** სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, რეგიონული განვითარების **ეროვნული პროგრამები,** რომლებიც საფუძვლად დაედება რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას.

საქართველოში სოფლის მეურნეობასთან ერთად პრიორიტეტული უნდა გახდეს **მეცნიერებატევადი დარგები.** ამასთან, ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე. ამ სფეროში უნდა მიმართოთ მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები — მოდერნიზებული უნდა იქნეს საზღვაო პორტები, აეროპორტები, გზები, კომუნიკაციები და სხვა. უნდა შეიქმნას საქართველოს **საზღვაო ფლოტი,** რაც სატრანზიტო გადაზიდვასთან ერთად სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობითა და მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრებით. უნდა დამყარდეს ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ისე სხვა მეზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე ევროპასა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან. კონტაქტები უნდა დამყარდეს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან, ევროპის რეგიონთა ასამბლეასთან, საერთაშორისო საავალუტო ფონდთან, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან, ამ ორგანიზაციებში საქართველოს გაერთიანების მიზნით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უფლება უნდა ჰქონდეს ყველა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, მაგრამ სახელმწიფო ორგანები უნდა არეგულირებდნენ მას **ლიცენზირების პოლიტიკის** გატარებით. ამავე დროს, ეკონომიკურ ალმაევლობასთან ერთად უნდა მოხდეს საგარეო ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაცია.

8. სოციუზრუნველყოფა და ჯანდაცვა

საქართველოს მოქალაქეთა ერთიანი **სოციალური გარანტიებს** უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია:

რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა და მისი პერიოდული კორექტირება ფასების ზრდის ინდექსის მიხედვით. ყოველი მოქალაქისათვის პენსიის გარანტირება საარსებო მინიმუმის ოდენობით ხანდაზმულობის, ავადმყოფობის ან მარჩენლის დაკარგვის გამო;

— ყოველი მოსამსახურისათვის ფასიანი შვებულების გარანტირება წელიწადში 28 კალენდარული დღის ოდენობით;

— ფეხმძიმე ქალებისათვის შვებულების დაწესება ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე ხელფასის შენარჩუნებით, ფასიანი შვებულების ხანგრძლივობის გარდა ტყუპების ან მესამე და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში;

— ინვალიდებისათვის სრულყოფილი საარსებო პირობების შექმნა, მათი შრომითი მოწყობის, საზოგადოებრივი ცხოვრების და ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა;

— პენსიონერების, მარტოხელა დედების და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შეღავათების დაწესება;

— ახალგაზრდა ოჯახებისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების მიცემა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, განსაკუთრებით საგარეუბნო რაიონებში და სოფლად, დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით;

— შრომის ბირჟის შექმნა და თავისუფალი სამუშაო ადგილების სრული რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

— უმუშევრობის ოფიციალური ცნობა და მოქალაქეთათვის უმუშევრობის დახმარების გაცემა სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის ოდენობით არანაკლებ 200 დღის განმავლობაში;

— სოციალური დაზღვევის განხორციელება ხანდაზმულობის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, საწარმოო ტრავმის, მარჩენლის დაკარგვის გამო;

— სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემასთან ერთად კერძო სადაზღვევო ორგანიზაციების შექმნისთვის ხელშეწყობა;

— კერძო ქველმოქმედებისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა; ამ მიზნით საქველმოქმედო ორგანიზაციების, კერძო პირების, საწარმოების წახალისება საქველმოქმედო საქმიანობისათვის საგადასახადო შეღავათების დაკანონებით;

— ჯანდაცვის სისტემის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდასთან ერთად თანდათანობითი გადასვლა სადაზღვევო სამედიცინო სისტემაზე; საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების განსახელმწიფოებრივ, რაც იძლევა შრომის ანაზღაურების სისტემის შეცვლის საშუალებას და მშრომელის ხელ

ჟამი დიდი არჩევანისა

რონ მეტრეველი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ასრულებს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას. გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა მისი მეცნიერული, პუბლიცისტური ნაწერები.

ამჯერად გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუს რონ მეტრეველთან.

— ბატონო რონ, ეს ორი კვირაა თქვენი ხახვა კი არა, თქვენთან შეხმიანებაც გაჭირდა. მეტად მოუცლელი ბრძანდებით. რა-იმე არსებითი ხომ არ ხდება აკადემიაში, კერძოდ, თქვენს სფეროში?

— უკანასკნელ ხანს ძალზე ბევრმა პრობლემამ მოიყარა თავი. ეს არის როგორც მეცნიერული, ისე ორგანიზაციული საკითხები. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება მრავალდარგოვანი და, შესაბამისად, სხვა განყოფილებებთან შედარებით მრავალრიცხოვანია. ხშირად უცებ წამოჭრილი მიმდინარე საკითხებზეც გვიხდება მუშაობა. განსაკუთრებით დაძაბულია სექტემბერ-ოქტომბერი, როდესაც განყოფილების ბევრ დაწესებულებაში და უშუალოდ განყოფილებაში ეწყობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებები. მხედველობაში მაქვს სამეცნიერო შეხვედრები, დიალოგები, სიმპოზიუმები. ახლახან დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს იკონომისტების საინტერესო შეხვედრა-დიალოგი, სადაც მრავალი პრობლემა განხილეს, მათ შორის — საქართველოს ეკონომიკის კონკრეტული საკითხებიც. ეტალონად აღებულია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პრობლემები ამ ჭრილში განიხილება. ამერიკელი მეცნიერები სოფეტოლოგები არიან და კარგად იცნობენ საქართველოს ცხოვრებას, მის ეკონომიკას და მათი მოსაზრებები მეტად საყურადღებო და აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ერი კვირის წინ დასრულდა არქეოლოგთა სიმპოზიუმი ვანში. იგი ანტიკური არქეოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა და თავისი მასშტაბითი ძალზე ფართო იყო. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ თბილისში შედგა შეხვედრა გერმანელ მეცნიერებთან, რომლებიც იკვლევენ ბიზანტიის სამართალს გავლენას სლავურ და კავკასიურ სამართალზე.

დაგისახელეთ მარტო ორიოდე კვირაში გამართული ღონისძიებები. დღეს მრავალი პრობლემა დგას მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, მაგრამ უპირველესი მაინც ბრწყინვალე დამოუკიდებლობის სტატუსის მოპოვებაა.

— როგორ წარმოგიდგენიათ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მომავალი დამოუკიდებელ საქართველოში?

— დღეს, როდესაც ქართველი ერის ისწრაფვის თვითგამორკვევის უფლებათა განხორციელებისა და საქართველოს სუვერენიტეტის მიღწევისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თავისუფალი მეცნიერული შემოქმედების აუცილებლობა, ესე იგი აკადემიური თავისუფლება. ამჟამად ხორციელდება ღონისძიებები აკადემიური მეცნიერების მართვის თანმიმდევრული დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციისათვის, საკუთრების განსაზღვრფოებრობისა და აკადემიის ინსტიტუტებისათვის ფართო უფლებების მინიჭებისათვის.

მეცნიერებათა აკადემია ერთერთ ძირითად ამოცანად თვლის უშუალო საერთაშორისო კავშირების დამყარებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამასთან საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი ორგანიზაციებისა და ცენტრების შექმნას, მეცნიერთა გაცვლას და თანამედროვე საერთაშორისო მეცნიერებათა თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას.

— ახლა საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის აზრთა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. ახეთ პირობებში როგორ გესახებათ მრავალპარტიული პარლამენტის მოღვაწეობა?

— იმ წარმოდგენილი პროგრამებისა და წინასაარჩევნო პლატფორმების მიხედვით ყველა პარტია თავისი მიზანდასახულობით საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება. მთავარი ისაა, რომ ყველა პარტიას და ბლოკს თავის აუცილებელ ამოცანად მიაჩნია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ჩემი აზრით, ეს დებულება პარლამენტში არჩეული პარტიების ერთიანობის საწინდარი უნდა გახდეს. წინა პლანზე სრულიად საქართველოს კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა უნდა დადგეს. აუცილებელი უნდა გახდეს საქართველოს გამოყენა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან. ფაქტობრივად მოთხოვნა ახალს არაფერს შეიცავს, ლაპარაკია 1918-1921 წლებში არსებულ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენაზე. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი პარლამენტში მისი წევრების თანამოაზრეობა იქნება, რადგან დასახული ერთიანი მიზნის მისაღწევად შეთანხმებული ღონისძიებები უნდა გატარდეს.

— თქვენ რომ პარლამენტის წევრი გახდეთ?

— უყოყმანოდ მხარს დავუჭერ საკითხების გონივრულ გადაწყვეტას განურჩევად იმისა, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს მისი დაყენების თაოსანი.

— თანამდებობრივად ორგანიზაციული საქმეები მოგეძალათ. მეცნიერებისათვის გახალები „ბარეი“, ალბათ, თავისას მოითხოვს...

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ბარადად ჩემი მეცნიერული გეგმების განხორციელება, ამ შემთხვევაში მართლაც გაგიცდი დროის დეფიციტს. მაგრამ საერთო საქმიანობაც უშუალოდ მეცნიერებასთანაა დაკავშირებული და ამჯერად საერთოდ დახარჯული დრო ვფიქრობ, უსარგებლოდ არ იკარგება.

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკაში დაძაბული ვითარების გამო ბევრჯერ ისეთ საკითხებზე გვიხდება მუშაობა, რომლებიც, ალბათ, სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო. მხედველობაში მაქვს ის რთული პროცესები, სხვადასხვა რეგიონში რომ მიმდინარეობს — ეთნოკონფლიქტებსა თუ ავტონომიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა ასეთ საკითხს გარკვეული პასუხი უნდა გაეცეს. მხედველობაში მყავს ისტორიკოსები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ და შეძლებისდაგვარად ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას, უპასუხოდ არ ტოვებენ ჩვენი ისტორიის გაყალბებისა და დამახინჯების ცდებს. ჩვენ ტელევიზიითაც ხშირად გვიხდება გამოსვლა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. ამოცანა ის არის, საზოგადოებამ იცოდეს ამა თუ იმ პრობლემის ჭეშმარიტი ისტორია.

არსებითია ისიც, რომ ეს ჭეშმარიტება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იქნას გატანილი. ქართველი ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სამართალმცოდნეები, ეკონომისტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში, სადაც წარსულთან ერთად თანამედროვე საკითხებიც განხილება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მომდინარე წლის ივლისში ლონდონში ბრიტანეთის საზოგადოებისა და ლონდონის უნივერსიტეტის ინიციატივით გამართული კონფერენცია ამერიკა-კავკასიის უახლესი ისტორიის საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ისრაელიდან, აგრეთვე ამერიკა-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. კონფერენციის რეალური მასპინძლები ჩვენი თანამემამულეები — თამარ დრაგაძე და რამაზ კლიმიაშვილი იყვნენ.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა პროფესორებმა მერაბ მამარდაშვილმა, ვახტანგ შამილაძემ, გურამ ყორანაშვილმა, გიორგი ცაგარელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ადა მარმანიამ თავიანთ მოხსენებებში ფართო საზოგადოებას საქართველოს უკანასკნელ ხანს მიმდინარე პროცესების რეალური სურათი [illegible] ერთიანი ფედერალური [illegible] ჭეშმარიტ ისტორიული ფაქტები საქართველოს წარსულისა და მისი დღევანდელობის შესახებ.

მთელ რიგ პრობლემებზე, იქნება ზოგადქართული საკითხი თუ რეგიონალური, ვთქვათ აფხაზეთის, ან ოსეთის ისტორიის შესახებ, არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. სულ ცოტა ხნის წინათ კი შეზღუდული ვიყავით, საშუალებას არ გვაძლევდნენ სათანადო პასუხი გაგვეცა საქართველოს ისტორიის გამყალბებელთათვის. უფრო მეტიც, რეალურად დაგვიწერა ესა თუ ის ისტორია, რომელიც კონიუნქტურას ეწინააღმდეგებოდა. ასეთი შემთხვევა კი იყო. „იკრიჭებოდა“ გამოსაცემი წიგნები, საკმაოდ სოლოდური გამოცემები, ზოგი მათგანი საერთოდ ვერ ნახულობდა დღის სინათლეს. ავტორები კი ოფიციოზისგან შეირისხებოდნენ, აქაოდა წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეალიზაციას ახდენთო.

იგი გაკრიტიკებული იყო სრულიად საკავშირო თათბირების ტრიბუნებიდან, შემდეგ იგი გაკრიტიკა ცენტრალურმა პრესამ. ცენტრალური პრესის ეს სტატიები (? — მხოლოდ ერთი სტატია იყო — რ. მ.) ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულ პრესაში. ამბ. მეტრეველის კრიტიკა ამას წინათ კვლავ გაისმა საკავშირო ტრიბუნიდან. ბუნებრივია ისმება კითხვა: როგორ უყურებს ამ კრიტიკას თვითონ ავტორი?

იგი დუმს. იგი უბრალოდ უგულებელყოფს კრიტიკას, რაც მიუტევებელია არა მარტო ცენტრალური კომიტეტის წევრისათვის, არამედ ყოველი რიგითი კომუნისტისთვისაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამბ. მეტრეველი სერიოზულად არ ეკიდება პარტიული ცხოვრების ელემენტარულ ნორმებს. სხვაგვარად რით უნდა აეხსნათ პარტიული კრიტიკის უგულვებელყოფა? ასე არ ხდება ხოლმე, კრიტიკას ან მოკლებული თარგმანი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გრუზიამ“).

საქმე ის გახლავთ, რომ ხალხური შემოქმედება ის ფენომენია, რომლის «нечетких социальных позициях»-ზე ლაპარაკი (ჩვენ თამარის შეფასებისას სწორედ ხალხის აზრი მოგვაქვს) ცოტა უხერხულია. ეს არ შეიძლებოდა ა. იაკობლევს არ სცოდნოდა. ახლა ძნელია იმის მტკიცება, მას უშუალოდ აქვს თუ არა ბოლომდე წაკითხული ეს სტატია. მე ამაში ეჭვი მეპარებოდა. ერთი კი ფაქტია: შემთხვევითი არ არის სათაურის მოუხსენებლობა, რაც შეეხება მის მტკიცებას «возникает нелепый спор, чей царь лучше» — ამგვარი რამ არათუ ისტორიკოსს, ჭკუამყოფელ საშუალო განათლების ქართველსაც არ მოსვლია აზრად და არც არასდროს ყოფილა. ა. იაკობლევმა ალბათ არ იცოდა, რომ დიდ ქართველ მოღვაწეებზე, მათ შორის თამარზეც, სწორედ კონიუნქტურის გამო, სრულყოფილი მონოგრაფიაც კი არ გაგვაჩნია, თორემ ვერ იტყოდა ასე ხმამაღლა: «заслуги тех или иных деятелей доводятся до превосходных степеней...»

ამჯერად, სამეცნიერად, საშუალება მოგვეცა, რომ ობიექტური პასუხი გაეცეს ყველა საკითხს, რომელიც კი ჩვენს წინაშე დადგება. ჩვენ სულ ახლახან გამოვეცით თავისი პირვანდელი სახით ნიკო ბერძენიშვილის წიგნი — „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის), რომელშიც განხილულია საქართველოს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალური გეოგრაფიის, აგრეთვე ტოპონიმიკის საკითხები. აქ მოცემულია მეცნიერის მოსაზრებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის („ქვეყნების“) ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების საკითხებზე. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა მონაწილეობას ქართული სახელმწიფოს ერთიანი ორგანიზმის ჩამოყალიბებაში.

სამწუხაროა, რომ ზოგჯერ შეუთანხმებლობაა ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს შორის სრულად ცხად და ჭეშმარიტ საკითხებზეც კი. წინა თაობა უფრო მარტივად წყვეტდა ამგვარ პრობლემას.

ვფიქრობ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (ისტორიის სერია). მხედველობაში მაქვს 1-2-3 ნომრები, სრულიად დამაჯერებელი იყო ცალკეული ისტორიკოსების პუბლიკაციები ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. აქვე მინდა აღვნიშნო ქართველ ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და სამართალმცოდნეთა აქტიური მონაწილეობა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გამოყოფილ ოსეთის პრობლემების შემსწავლელ კომისიაში. ჭეშმარიტ ისტორიულ წყაროებსა და ღრმა მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული მასალა სათანადო დასკვნებით რამდენიმე თვის წინ წარედგინა უზენაეს საბჭოს, მთელი რიგი მასალები ქვეყნდება „მაცნეს“ მე-3, მე-4 ნომრებში.

— პირადად თქვენ რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ჩემი კვლევითი ინტერესები შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება, სხვადასხვა დროს უშუალოდ საქართველოს ისტორიის გარდა, გამოქვეყნებული მაქვს შრომები ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ვფიქრობ, უახლოეს ხანში გამოვაცე მონოგრაფია მეფე თამარის შესახებ.

რაც შეეხება მუშაობის დაძაბულობას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე ყოფნისას. „კომკავშირის 10 წელი და პარტიული საქმიანობის ორნაბეჯვრიც მძიმე, და რთული იყო.

როცა ქართული ენციკლოპედიის გამოცემაზე ვმუშაობდით, იყო შემთხვევა, რომ ღამეებს ვათევდით. ასე ხდებოდა სულხან-საბა ორბელიანის (ყოფილი პუშკინის) სახელობის პედინსტიტუტში ჩემი რედაქტორად მუშაობის დროსაც. პირველ დაწესებულებაში 1972 წლიდან მოკიდებული 13 წელზე მეტი ვიმუშავე, მეორეში — სამი. ყველაფერს ამას ისიც ემატება, რომ 1965 წლიდან, ასპირანტურის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, თითქმის უწყვეტლივ ვმოღვაწეობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ვკითხულობ საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, სპეციკურსებს.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში მონაწილეობა მივიღე მსოფლიო ისტორიული მეცნიერების XVII კონგრესის მუშაობაში, რომელიც მადრიდში გაიმართა. იქ მოხსენება მქონდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. ამჟერად კვლავ ვაგრძელებ ამ მიმართულებით მუშაობას, ზოგი რამ კიდევ დაემატა ჩემს დატვირთვას: ამირჩიეს გელათის სახალხო აკადემიის რექტორად. იმავე დღეს დაარსდა გელათის სასულიერო აკადემია (რექტორი ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე), ორივე რექტორმა მივიღეთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს ლოცვა-კურთხევა. შევთანხმდით, რომ ერთობლივად ვიმოღვაწეებთ სასულიერო აკადემიასთან ერთად. ეს შეთანხმება ხორციელდება კიდეც. ამ ორიოდე დღის წინ დიდი პატივი მხვდა წილად — გელათის სასულიერო და სახალხო აკადემიების ერთობლივ სხდომაზე პირველი ლექცია წავიკითხე. შემდეგ კი სასულიერო აკადემიის მსმენელებისათვის საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის კითხვა დავიწყე. სპეციალობა — საქართველო XII საუკუნეში“ კი — ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II-III კურსის სტუდენტებთან.

ასე რომ, საქმე ბევრია.

ესაუბრა
ბელა დურგლიშვილი.

გზა გავლილი და გასავლელი

„...ეს ფაქტი გარკვეულ ისტორიულ ერთობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, ფილიალი უნდა იქცეს სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ ცენტრადაც. ამიტომ უნდა ვიკისროთ ეთნოგრაფიული, ეკონომიკური, ტოპონიმიკური პრობლემების წამოწევა და მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავება.

პრობლემები ბევრი გვაქვს, მშენებლებმა საქმეს ბოლომდე ვერ გაართვეს თავი, ჩვენი პედაგოგები სახტუმროში ცხოვრობენ. სტუდენტები დაქირავებულ ბინებში. მოგეხსენებათ, 170 კაცი ისეთი პატარა ქალაქისათვის, როგორიც ახალციხეა, მნიშვნელოვანი მატებაა. სწორედ ამიტომ ბინის ქირის ზრდა არ ჩამოუვარდება დედაქალაქისას. მომავალში სტუდენტობა ერთი-ორად მომრავლდება. ამიტომ აუცილებელია საერთო საცხოვრებელი, სადაც მშვიდად იგრძნობენ თავს ჩვენი ახალგაზრდელები.

ვუსმენდი რექტორს და უნებლიეთ ექვი შემეპარა, ნაადრევი [illegible] ...ეროვნული თვალსაზრისით? ჯერ ერთი, რომ სასულიერო განათლება აძლევს ერს სწორად განვითარების საშუალებას, მეორე, თავისუფლებისაკენ ლტოლვას აყენებს კალაბრაგში, რომელიც მიზნისკენ სუფთა გზებით მიემართება. ნათქვამია, შეიძლება კაცი ციხეში იჯდეს და შინაგანად თავისუფალი იყოს, გარეთ კი მონაო. მთავარია სულიერი გზა თავისუფლებისაკენ, დანარჩენი ამის ზედნაშენია.

...შემოდგომის სუსხი ვერ ატანდა ახალციხის სამუსიკო სასწავლებლის შენობაში, რადგან მომხიბლავი ალმაზრდელებისა და ალსაზრდელების შინაგანი სითბოთი იყო ირგვლივ ყველაფერი გაჯერებული.

ეს სასწავლებელი 1982 წელს გაიხსნა. წელს ოგი მეორედ იშვა, [illegible] ...ეროვნული ფაქტორი ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

საარჩევნო ბლოკის „თავისუფლება“ წინასაარჩევნო პლატფორმა

(დასასრული)

განათლების სრული ციკლი უნდა მოიცავდეს სკოლამდელ აღზრდას, საყოველთაო ცხრაწლიან ზოგადსაგანსანათლებლო სკოლას, პროფილურ ორ-სამ წლიან სასწავლებელს, უმაღლეს სამ წლიან სკოლას (ინსტიტუტს) და ორ-სამ წლიან უნივერსიტეტს ან აკადემიას.

განათლების სისტემა გულისხმობს ზოგად, საშეგირდო, პროფილურ, სპეციალურ, ექსტერნატულ, პენსიონატურ და სხვა ტიპის სასწავლებელთა არსებობას.

განათლების ციკლი შეიძლება არ იყოს უწყვეტი. მოსწავლეს ნებისმიერი ეტაპის დამთავრებისას (დაწყებული მეორე ეტაპიდან) უნდა შეეძლოს შრომითი საქმიანობის დაწყება თავისი ინტერესების შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში.

საყოველთაოა მხოლოდ ცხრაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სწავლების ფორმებია კერძო, საშრეგლო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო სწავლება (უფასო და ფასიანი).

სასწავლო დაწესებულება ავტონომიური ერთეულია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფოს (გარანტირებულია საქართველოს კანონით განათლების შესახებ), უწყებათა, საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ.

სასწავლო დაწესებულებაში შეიძლება გაერთიანებული იყოს განათლების სრული ციკლის ორი მომდევნო ეტაპი. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და პროფილური სასწავლებელი, რაც ფაქტობრივად ლიცეუმის ან გიმნაზიის შესატყვისია,

უნდა შეიცვალოს სწავლების პრინციპები: უნდა გაიზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ცოდნის გადაცემა-შემოწმებით. იგი უნდა გულისხმობდეს მოსწავლეში ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მას დაეხმარება სკოლის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობის დაწყებაში. ფართოდ უნდა დაინერგოს ცოდნის გადაცემის არატრადიციული ფორმები.

ძირეულად უნდა შეიცვალოს სასწავლო პროგრამები. გადავალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლის ასაკი, მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი, აგრეთვე საგნის როლი ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებაში. აქცენტი უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე. პროგრამები აგებული უნდა იყოს ექსტენსიურიდან ინტენსიურ სწავლებაზე გადასვლის პრინციპით, სკოლაში დღეს არსებული შეფასების ნიშნობრივი სისტემის ნაცვლად უნდა დაინერგოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახელმწიფო ატესტირება, რომლის მიზანია სწავლების მოცემულ ეტაპზე ცოდნის მოცულობის სახელმწიფო მინიმუმის შემოწმება და მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გამორკვევა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრებისას გაიცემა სიმწიფის ატესტატი, რომელშიც ასახული იქნება სახელმწიფო ტესტირების შეჯამებული შედეგები და აღნიშნული იქნება მისი მომავალი შრომითი საქმიანობის სახე და დიპლომი (რეკომენდაციის სახით). ყველა დანარჩენი ტიპისა და დონის სასწავლებლის დამთავრებისას გაიცემა დიპლომი. უნივერსიტეტისა და აკადემიის დამთავრების შემდეგ ენიჭებათ დაწყებითი სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს განათლების სისტემაში აკრძალული უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის რაიმე სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

12. კულტურა

დამოუკიდებელ საქართველოში განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ესთეტიკური და ეთიკური ფასეულობანი, ჩვენი ღრმა რწმენით, კულტურა და ხელოვნება — ეს ის სფეროებია, სადაც მძლავრად გამოვლინდა ქართული ხასიათი, მისი თავისუფლება და თვითმყოფადობა. ეროვნულ ნიადაგზე და ისტორიულ ტრადიციებზე აღმოცენებული გენეტიკური კოდი იმდენად ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, რომ ქართულმა კულტურამ გაუძლო ტოტალიტარიზმისა და უნიფიცირების ტენდენციების გამანადგურებელ შემოტევას და შეძლო შეენარჩუნებინა თავისი სახე. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ თვითმყოფადი კულტურითა და ხელოვნებით შეძლეს საქართველო თავისი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ერთა ოჯახში. ამდენად თავისთავად ნათელია ის პრიორიტეტული მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ეანიჭებთ ეროვნულ კულტურას. აქედან გამომდინარეობს ჩვენი კონკრეტული მიზანიც — სახელმწიფო უნდა გახდეს რეალური გარანტი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისა.

ქართული და აფხაზური კულტურის განვითარებაზე განსაკუთრებული ზრუნვის პარალელურად სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელთა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, საქართველოს ისტორიული მხარეების თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის.

კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იქნეს სინდისისა და შემოქმედების თავისუფლება, როგორც კულტურის განვითარების უპირველესი პირობა, კულტურის სფერო აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერი და პარტიისმიერი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური დიქტატისაგან. უნდა შეიქმნას პირობები კულტურის სფეროში ყველა სახის საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებისა და გაფართოებისათვის.

დაბრუნება 66 წლის შემდეგ

19 ოქტომბერს საღამოს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისის აეროპორტში. დამხვდურნი ტაშით შეხვდნენ უხუცეს ქართველ ემიგრანტს, 95 წლის ალექსანდრე სულხანიშვილს, რომელიც ცალხ ხელით კიბის მოაჯირს ეყრდნობოდა, მეორეთი კი გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს პაატა ნაცვლიშვილს.

ეს ამბავი ასე დაიწყო.

„სამშობლოს“ რედაქციაში მოვიდა სანტა-როზაში (აშშ, კალიფორნია) მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ნოშრევან გალაშვილის წერილი, „მადლობა ღმერთს, დადგა ჟამი, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების ახდენისა. სამშობლო იბრუნებს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას! ღმერთო გვიმარნე!“, — წერდა ბატონი ნოშრევანი. შემდეგ კი იგი გვატყობინებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, ერთადერთი ცოცხალი შეფიცულის ბატონ ალექსანდრე სულხანიშვილის თხოვნასა და მუდარას: „ოჰ, ერთი კიდევ დამადგმევინე სამშობლოს მიწაზე ფეხი, ერთი კიდევ ჩამასუნთქვა ჩვენი კახეთის ჰაერი და მერე რაც იქნება, აღარ ვიდარდებ... ნეტა პატი, რომლებმაც იკისრეს მთელი ხარჯები.

პაატა ნაცვლიშვილი სან-ფრანცისკოში 11 ოქტომბერს გაფრინდა საქართველოს მკლავჯიღლთა ნაკრებთან ერთად.

და აი, 66-წლიანი განშორების შემდეგ ალექსანდრე სულხანიშვილი საქართველოშია, ფრიალებს ეროვნული დროშები, ზღვა ყვავილებითა და სიხარულის ცრემლით შეეგება საქართველო თავის შვილს.

— ჩემი ძვლები ქართულ მიწაში უნდა ჩავყარო... დიდი მადლობა ყველას, ვინც სიკვდილის წინ ოცნება ამისრულა და სამშობლოში დაბრუნება მაღირსა! — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ბედნიერებით აქვითინებულმა ალექსანდრე სულხანიშვილმა.

ახალგაზრდებმა ალექსანდრე სულხანიშვილი ხელში აყვანილი გამოაცილეს აეროპორტიდან.

ლამარა თელია.
(საქინფორმი).

• • •

სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

ბაბრი ვადაბაკორიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალექსანდრე სულხანიშვილი საქართველოშია

▼

ატა ნაცვლიშვილი გამოჩენილიყო, დამეხმარებოდა. მე მაგას ყველაფერს ვვნდობი. ქაქუცას იარაღი რომ წაიღო და იმედთანად დაადინავა. მისწერე წერილი, იქნებ რამე იღონის“.

წერილს მიღებისთანავე რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გივი გუშბარიძეს. ყველა საჭირო პრაქტიკული თუ ფორმალური მხარის მოგვარებას სულ რამდენიმე კვირა დასჭირდა. ამ საქმეში რედაქციას მხარში ედგნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი დემფრ დვალიშვილი, რომელთა უშუალო თანადგომის წყალობითაც განხორციელდა ეს კეთილშობილური აქცია. გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის სპონსორები ამ საქმეში იყვნენ კომერციული ფირმა „ვესტა“ და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლებმაც იკისრეს მთელი ხარჯები.

ალექსანდრე სულხანიშვილი საქართველოშია

ქუთათურთა ხელოვნების ფუქ-ჩრდილები



ქუთაისის საოპერო დასმა ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ გასტროლი გამართა თბილისში. ერთკვირიანი გასტროლის პროგრამამ მოიცვა საოპერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“. დასმა წარმოაჩინა შედეგი იმ მუშაობისა, რომელიც თეატრის ცხოვრებაში 20 წელს მოითვლის. ამ ორი ათწლეულის მანძილზე დასმა წარმატებაც ბევრჯერ იზეიმა, მარცხიც და ათასგვარი სიძნელეც ჰქონია — შემოქმედებითი მატერიალურ-ტექნიკური, ყოფითი. მან გამოიარა შემოქმედებითი ხელმძღვანელობის (მთავარი დირიჟორის, მთავარი რეჟისორის, მთავარი ბალეტმაისტერის) უყოლობის, ამ ხელმძღვანელთა მოკლე დროში მონაცვლეობის განსაცდელიც, ჭუშმარიტად შემოქმედებითი გატაცების წყურვილიც.

და მაინც, ქუთათურთა დასმა შეიმუშავა საკუთარი სარეპერტუარო პოლიტიკა, გეზი აიღო საოპერო და საბალეტო ლიტერატურის რჩეულ ნიმუშთა ათვისებაზე. თეატრის პროგრამებში ლომის წილი ყოველთვის ქართულ მუსიკას — კლასიკურსა თუ თანამედროვეს ჰქონდა მიკუთვნებული. ასე რომ, ქუთაისის დასი უფლებამოსილია თავი იმითაც მოიწონოს, რომ მუდამ ცდილობს სჩვეოდა ქართული მუსიკალური ხელოვნების ერთგულება. ქუთაისის სცენაზე ერთხელ და ორჯერ როდი გამართულა ქართულ საოპერო თუ საბალეტო ნაწარმოებთა პრემიერა, მათ რეპერტუარში არის ისეთი თხზულებებიც, რომლებმაც რამპის შუქი პირველად ქუთაისში იხილეს. ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ ცოტაა ჩვენში თეატრი, რომელიც ტოლს დაუდებს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს რეპერტუარში ეროვნულ ქმნილებათა რაოდენობის თვალსაზრისით.

იმ მხატვრული დონის მიღწევაში, რომელიც ქუთათურებმა დედაქალაქის მსმენელთა წინაშე წარმოაჩინეს, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ იმათი ღვაწლი, ვისაც განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის საგასტროლო სპექტაკლთა წარმატებაში. უწინარესად გამოსაყოფია ა. მაღაცაშვილის წვლილი. ერუდირებული მაღალპროფესიული მუსიკოსის არცთუ ხანგრძლივმა მუშაობამ დასთან საიმედო პერსპექტივაც დასახა და ამთავითვე თვალსაჩინო ნაყოფიც გამოიღო. მის მიერ მომზადებული „აბესალომი“ მთელი გასტროლის ღირსეულ სადარბაზო ბარათად იქცა. ეს იყო კარგად შეკრული სპექტაკლი, შემოქმედებითად დამუშტუღი, მაღალი ემოციური სიხშირის მქონე, ამიტომაც მოიხიბლა დარბაზი და ხანგრძლივი ტაშიც მიიზღო..

დიდზე დიდია ღვაწლი ქუთაისელთა შემოქმედებაში ჩვენი სასიქადულო ხელოვანის ო. დიმიტრიადისა, მისი შემართებას, პროფესიული ღვწის ცეცხლს, დრო ვერ ანელებს. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული სპექტაკლი „იოლანტა“, რომელსაც ამჯერად რ. ტაკიძე გაუძღვა, გაუძღვა კორექტულად, დიდი მხატვრული ტაქტით, ალბეჭდილი იყო პროფესიული კულტურით, ფაქიზი გემოვნებით, არტისტული - მგზნებარებით. ეს სპექტაკლი ქუთაისელთა საუკეთესო მონაპოვართაგანია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მ. კობახიძის ნამუშევარმა „ლუჩიაში“. გამომჟღავნდა დირიჟორის თანდაყოლილი მუსიკალობა, ლირიკული განცდის მელოდიური ნახაზის პლასტიკური ძერწვის უნარი. რაც შეეხება „დიდოსტატის მარჯვენას“, იგი უკეთესის სურვილს ბადებდა. ნამდვილად აჯობებდა, რომ დირიჟორს თავი კი არ ჰქონოდა ჩარგული პარტიტურაში, არამედ პარტიტურა, „ჩაებეჭდა თავში“!. მაშინ მშველიძისეული ჰანგიც მეტი გზნებით იფეფრებდა.

ნიჭიერი, განათლებული მუსიკოსია თ. ჭუმბურიძე. მას აქვს მკაფიო ყუსტი, რიტმის მახვილი გრძნობა და რაც უმთავრესია, მუსიკის დედააზრში წვდომის უნარი. დასანანია, მაგრამ „ქეთო და კოტე“, რომელსაც იგი უძღვებოდა ქუთაისელთა საუკეთესო სპექტაკლებს ვერ გაუტოლდა. ირღვეოდა ანსამბლი, რეჩიტატივებს აკლდა მკაფიოობა, სპექტაკლს — სიმნყობრე.

დასის მიერ თბილისში წარმოჩენილ ვოკალურ ხარისხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მართებულია დიდი იტალიელი ბარიტონის მ. ბატისტინის სიტყვები გავიხსენო: „ხმა ჭკნება არა ხშირი სიმღერისა და ხანგრძლივი მუშაობისაგან, არამედ მოუმზადებელი გამოსვლებისა და არასწორი მეცადინეობისაგან“. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ გასტროლების წინ ქალბატონმა მ. ამირანაშვილმა და ბატონმა ნ. ანდღულაძემ იმუშავეს დასთან. მათმა მაღალპროფესიულმა შეგონებამ, რჩევამ, ყოველდღიურმა კონტაქტმა მომღერლებთან საგრძნობი ხარისხობრივი ცვლილებები შეიტანა მათს შემოქმედებითს უნარში, ახალი ძალით გამოავლინა მათი შემოქმედებითი პოტენციალი.

თავი კარგად დაგვამახსოვრა ქუთაისის საოპერო გუნდმა (ქორმაისტერები: ა. მაჭავარიანი, ო. თოფურიძე), სტაბილური აღმოჩნდა ამ ანსამბლის მომზადების დონე. იგრძნობოდა ჯანსაღ ახალგაზრდულ ხმათა სიუხვე. სასიამოვნო იყო ჟღერადობის სიხალასე, ხმათა სიკაშკაშე, თუმცა საქებრად ეს არ იკმარებდა. მოწონება დაიმსახურა შემოქმედებითი ანსამბლის საშემსრულებლო კულტურამ, ანსამბლის შეხმაკბილებამ, ორგანიზებულობამ.

ცნობილია, თუ რა სიძნელეებს განიცდის ქუთაისის ორკესტრი: მოძველებული ინსტრუმენტარიუმი, სიმებისა თუ სხვა ტექნიკურ აქსესუართა სიმწირე, მსახიობთა დიდი დატვირთვა (მცირე ხელფასის გამო იძულებითი შემთავსებლობა, რომელიც დაუნდობლად ცვეთს მუსიკოსს) და მაინც, ორკესტრმა მოიკრიბა ძალა და შეძლო ღირსეულად გაეძღო დიდი შემოქმედებითი და ფიზიკური დატვირთვისათვის. იგი ხომ გუნდისა და სოლისტებისგან განსხვავებით მთელს საგასტროლო მარათონზე თანაბარი ძალით იყო დატვირთული. ქების ღირსია მთელი ინსტრუმენტული ანსამბლი, მაგრამ ცალკეული მუსიკოსის ნაშრომი მაინც იმსახურებს გამოყოფას, რამეთუ მათი შემოქმედება გამორჩეული იყო. ღირსება გაუმრავლა სპექტაკლს, მაგალითად ფლეიტისტმა ს. ბურჭულაძემ, რომლის თავანკარა მელოდია თანხმიერ დუეტს ქმნიდა სოლისტთან „ლუჩია დი ლამერმურში“. ასევე დასამახსოვრებული იყო დ. კილაძისეული არფის პარტია „იოლანტაში“.

შევცდებოდი, თუკი ქებით არ მოვიხსენიებდი მხატვართა ღვაწლს, და საგანგებოდ არ მივაპყრობდი მკითხველის ყურადღებას თ. არსენიძის სცენოგრაფიას. ღრმად ეროვნულია, ქართულ უძველეს ფრესკულ თუ ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაში იღებს სათავეს მისი „აბესალომის“ II მოქმედების დეკორაცია. ეპოქასთან მისადაგებული და დახვეწილი გემოვნებით არის შესრულებული „ლუჩიას“ კოსტუმერია, დრამატული გაქანებით და მუსიკის შესატყვისი ეპიკურობით იყო აღბეჭდილი „დიდოსტატის“ I მოქმედების მხატვრობა.

ადვილშესაცნობი იყო სპექტაკლებში ქორეოგრაფიულ ეპიზოდთა ეროვნული ფესვები. ეს დამდგმელი ბალეტმაისტერის ე. გუბმბერიძის დამსახურებაა.

არავის დაუნახავს, თუ რაოდენ დიდი შრომა გასწიეს კონცერტმაისტერებმა, მაგრამ მ. ჭანტურიას, ა. ჟარიკოვას, რ. კილაძის თუ სხვათა გარეშე ძნელი წარმოსადგენია სოლისტთა მიერ მოპოვებული მხატვრული შედეგი.

უკვალოდ არ ჩაუვლია აგრეთვე ტექნიკური პერსონალის, სადადგმო ნაწილის (რ. მურლულია) ამაგს. ამ დიდ ამქარს საქმის სიყვარულით მეთაურობს ვ. ასათიანი.

და მაინც, საოპერო სპექტაკლს ვოკალი აცოცხლებს, მისით ფეთქავს სპექტაკლის გული, ვოკალია საოპერო თეატრის არსი და დედააზრი. ქუთაისის საოპერო თეატრი მდიდარია ხმებით, კარგი, ლამაზი ტემბრის და ხასიათიანი ხმებით, გავიხსენოთ ა. გუჯაბიძე, ა. ჭურღულია და სხვები. ზოგმა აღნიშნა კიდეც — ბევრი საოპერო თეატრი ინატრებდაო ამგვარ ვოკალურ პალიტრას, მაგრამ ღმრთით ნაბოძებ ხმასა და მის სრულფასოვან ფლობას, მომღერლის პროფესიულ შესაძლებლობებს შორის ზღვარიც არსებობს. დასანანია, მაგრამ ბევრ ხმას აკლდა სტაბილურობა, სიმტკიცე, ყველა მსახიობი ემოციური სისავსით როდი გამოხატავდა სიტყვიერი ქარგის შინაარსს, მხატვრულ მარცვალს. მომღერალთა ნაწილი დატვირთული იყო ვოკალურ ამოცანებთან ჭიდილით, რეგისტრის ყველაზე მაღალი ან ყველაზე დაბალი ბგერის დაუფლების, ტექნიკურად რთული ეპიზოდის გადალახვის მღელვარებით. ინტონაციურ სიზუსტეზე აღარას ვამბობ, ხმა ზოგჯერ იმდენად მორყეული იყო, რხევის ამპლიტუდა ლამის ტერციას აღწევდა. როგორ შეიძლებოდა მწყობრ ანსამბლზე ოცნება, როცა ცალკეულ შემთხვევებში მომღერალი იმას ესწრაფვოდა, რადაც უნდა დამიჯდეს, პარტნიორზე უფრო ხმამაღლა უნდა ვიმღეროო! მით უფრო გამოსარჩევია და ცალკე აღნიშვნის ღირსია იმ მომღერალთა შემოქმედება, რომელთაც პროფესიული უნარით თავი გამოიჩინეს და საკუთარი შემოქმედებით მხატვრული ხარისხი შემატეს სპექტაკლს.

საუკეთესოთა შორის, უწინარეს ყოვლისა, ფოთოლა დუნდუას დავასახელებ. მან მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ორ შედევრში „ლუჩია დი ლამერმურსა“ და „იოლანტაში“ ურთულესი წამყვანი პარტია შეასრულა. დიდი კეთილსინდისიერებითა და ა რტისტული სიწრფელით შეასხა ხორცი გმირთა მხატვრულ სახეებს. მშვენიერ ვოკალურ შესაძლებლობებთან ერთად მან ცხადყო დრამატული მსახიობის უნარი, კოლორატურის სიმსუბუქეს, ფაქიზ ნიუანსებს, ინტონაციურ სიწმინდეს, გულითად ლირიზმს ესადაგებოდა ქალური კდემა, სინაზე, გრძნობათა უშუალობა. ფ. დუნდუას გმირები მართალი განცდით ცოცხლობდნენ სცენაზე და გულწრფელი, ხანგრძლივი ტაშიც არგუნეს მსახიობს.

ვგონებ, დღიდან დაარსებისა ქუთაისის საოპერო დასის უცვლელი წევრია და წამყვანი სოლისტთაგანი ვაჟა კუბლაშვილი. მისი ძლიერი, დროის მსვლელობით გაუცვეთელი, ახალგაზრდულად ჯანსაღი ტენორი ამჯერადაც ელვარე და მიმზიდველი იყო. თავისი აბესალომით მომღერალმა შემოქმედებითი სიცოცხლის ხანგრძლივობის საუცხოო ნიმუში მოგვცა.

ელეგანტური იყო, გ. ლომთაძის მიერ ხორცშესხმული ლორდი ასტონი დონიცეტის ოპერაში: ეთერის დასამახსოვრებელი ვოკალური სახე შექმნა ლ. ახალაძემ. გამორჩევის ღირსია გ. ჭყონიას ხმაც და ჯეროვნად გაანრებული მხატვრული სახეც (ფარმანი „დიდოსტატის მარჯვენაში“). სცენურად წარმოსადეგი იყო ი. ქუთათელაძის რაიმონდი.

ახალგაზრდათაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს რ. კუბლაშვილის ედგარმა („ლუჩია დი ლამერმური“), ბ. გაბიტაშვილის მურმანმა („აბესალომ და ეთერი“), ნ. კიკოლიაშვილის მარინმა და ქეთომ („აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“). ამავე დროს მათ მართებთ მეტი ცნობისწადილი, ზრუნვა შესაძლებლობათა სრულყოფაზე, პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებაზე.

დასმა ცდა არ დაეკლო, რათა საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმუმი წარმოეჩინა. და მაინც, ყველა სპექტაკლის მხატვრულ-ემოციური ხარისხი თანაბარი არ იყო. თუკი ჩამოყალიბებული რეჟისორული პარტიტურის ეკვივალენტური იყო „ლუჩიას“ ვოკალურ პარტიტურა, თუკი ასეთივე თანხვედრა იყო „იოლანტაში“, ფუნდამენტალურ ნაშრომთა „დიდოსტატის მარჯვენა“, სადაც „ბატონი“ მარიონეტებივით ეჭირათ ეზრებელი ერთფეროვნება სუფევედა. მუსიკას იშვიათად თუ აღისკროვნებდა ცოცხალი სუნთქვა. ცალკეულ სპექტაკლთა რეჟისორული გადაწყვეტა, აქტიორული თამაში, სცენოგრაფია ნარსული დროის ესთეტიკურ მოთხოვნებსაც გაჭირვებით თუ დაკმაყოფილებდა, დრომ კი იმდენი სიახლე მოგვიტანა, ზოგჯერ გუშინდელიც მოძველებულად სჩანს.

არა შემთხვევის, არამედ პროფესიული ხარისხის გამო იყო, რომ თეატრის მესვეურებმა პასუხსაგები გასტროლისათვის რეპერტუარიდან მხოლოდ და მხოლოდ ხუთი სამპერო სპექტაკლის შერჩევა შეძლეს. რეპერტუარიდან ვერც საბალეტო სპექტაკლები შეირჩა. არც ეს არის შემთხვევის ბრალი. ეს ფაქტები დამაფიქრებელი და საგულისხმოა.

თბილისელმა მსმენელმა იშვიათი სითბოთი მიიღო ქუთაისელი მუსიკოსები.

უეჭველია, თბილისელთა სითბო რამდენიმე ხანს არათუ გაჰყვება ქუთათურთა გულებს, ბიძგსაც მისცემს მათ შემდგომი წინსვლისათვის. მაგრამ ეჭვობ, რომ ეს შორი გზის საგზალად გამოდგეს. თუკი ხელოვანისაგან ჭეშმარიტი ალით წვას მოგითხოვთ, შესატყვისი სანუკვარიც უნდა მოვამარაგოთ. ხელოვანს საპატიო ტიტულებიც უთბობს გულს, თუკი ეს ტიტულები ჯერ კიდევ ფასობს ჩვენში, ამ ტიტულებით კი ქუთათურები სრულებითაც არ არიან განებივრებულნი. ბევრი მსახიობის სცენური სიცოცხლე ისე გაილია, დაფასებას ვერ ელირსა, ჭაპანს კი ქუთათური მუსიკოსები ერთგულად ეწევიან. არც თეატრის ფოიეში დაგუბებულ წვიმის წყალს, არც სცენაზე მოთარეშე ორპირ ქარს, არც გაყინულ არტისტულ ოთახს უშინდებიან. რომელ კეთილმოწყობაზეა ლაპარაკი, როცა ზოგჯერ პირის დასაბანად დირიჟორს თეატრიდან ბინაში უხდება გადარბენა, ზოგჯერ კონცერტის საორგანიზაციოდ სკამებისა და პულტების ზიდვა მუსიკოსებს ევალებათ. კომფორტი კი მუსიკოსებს ძალზე სჭირდებათ, რამეთუ ლამაზი გარემო მათ ლამაზ გრძნობებს ეღვიძებს, ლამაზი გრძნობებით გულგამთბარი მუსიკოსი მაღალი შემოქმედებისათვის შეიმართება და ათეულობით ადამიანის სულში მიძინებულ კეთილ გრძნობებს მოუხმობს. ჩვენს საზოგადოებრიობას კი ჰაერივით სჭირდება კეთილ გრძნობათა გაღვივება.

წლევანდელი წელი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მატიანეში რამდენიმე ღირსსახსოვარი მოვლენით აღინიშნა. მას დაარსების 20 წლისთავი შეუსრულდა. თბილისური გასტროლი, უდავოა, დავინყებით არ დაიბინდება, თუკი დასი საგასტროლო სპექტაკლების მხატვრულ ხარისხს შეინარჩუნებს, მსმენელიც უეჭველად მოუმრავლდება, თეატრმა მოიპოვა დამოუკიდებელი (და არა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის) სტატუსი. და ბოლოს, თეატრს მიეცა ქართული პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი მესაძირკვლის მელიტონ ბალანჩივაძის სახელი. ეს მოვლენები მრავალსმეტყველიცაა და ბევრსაც ავალებს შემოქმედებითს კოლექტივს, ქუთაისის თეატრი დასავლეთ საქართველოს სულიერი ცხოვრების მძლავრი კერა უნდა იყოს, მასში მაღალი ხელოვნების ძარღვმა უნდა იფეთქოს, იგი არა მარტო კარგად უნდა ასრულებდეს მუსიკას, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდეს საზოგადოებრიობას, არამედ „გმირულის სულიდან ნაპერწკალს უნდა ჰკვეთდეს“. ვუსურვებდი ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამ უზენაესი მიზნის აღსრულებას.

რუსუდან ქუთათელაძე.

• • •

სურათზე: სპექტაკლ „ქეთო და კოტეს“ სცენა. კოტე — რუსუდან ლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჭურღულია.

წერილი „კომუნისტს“

ჩვენ მსარს გვიჭერდნენ

პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“, რომლის პროგრამა და მოღვაწეობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკური პარტიებისადგის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რესპუბლიკის პროკურორის ამბ. ვ. რაზმაძის იურიდიულ საფუძველს მოკლებული პროტესტის გამო, უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ამოღებულია არჩევნებში მონაწილე პარტიათა სიიდან. ამასთან, როცა პოლიტიკური ორგანიზაციის „სტალინის“ ზოგიერთი მოწინააღმდეგესათვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ორგანიზაცია ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობს და არჩევნებში ხმათა მნიშვნელოვან რაოდენობას მიიღებდა, მათ ჩვენს მიერ წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატთა მიმართ გამოიყენეს კანონი აკრძალული, მიღებული ფორმები და მეთოდები. ამის გამო, სამწუხაროდ, ზოგმა შეშინებულმა დეპუტატობის კანდიდატმა უარი განაცხადა არჩევნებში კენჭი ეყარა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის სიით, რის შედეგადაც იურიდიული საფუძველი შეექმნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებში მონაწილე პარტიათა სიიდან ამოერიცხა პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“.

პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ გულწრფელ მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც მას მხარს უჭერს და გადაწყვეტილი ჰქონდა არჩევნებში ხმა მიეცა მისთვის.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა ჩვენ კვლავაც დაგვჭირდება. პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ კვლავაც განაგრძობს ბრძოლასა და მრავალმხრივ მოღვაწეობას საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის, ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.

პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“.

ᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ

18 ოქტომბერს, ტელევიზიის „მოამბის“ გამოშვებაში გადაიცა ინფორმაცია, რომ გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა, საქართველოს ეურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის წევრმა ალექსანდრე შენგელიამ შიმშილობა გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით იგი ითხოვდა ეურნალისტთა კავშირის წარმომადგენლების ჩასვლას ქუთაისში.

ეურნალისტთა კავშირის სამდივნო ადგილზე გაეცნო შექმნილ მდგომარეობას. რედაქციის კოლექტივთან ერთად საკითხის გარკვევის შემდეგ, გაზეთის რედაქტორმა ალეკო შენგელიამ შიმშილობა შეწყვიტა.

19 ოქტომბერს გაიმართა საქალაქო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „ქუთაისის“ რედაქციის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელმაც იმასთან დაკავშირებით, რომ გაზეთი გახდა დამოუკიდებელი და აღარ არის კომპარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორგანო, განიხილა რედაქციის ხელმძღვანელობის არჩევის საკითხი. კრებამ ხმების უმრავლესობით გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორად აირჩია ალექსანდრე შალვას ძე შენგელია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ?

მოსკოვი ძირითადი სასურსათო საქონლის ბარათების შემოღებას ითვალისწინებს დოკუმენტი, რომელიც 22 ოქტომბერს მოიწონა დედაქალაქის ხაბჭოს პრეზიდიუმმა. იგი მოსკოვის საქალაქო საბჭოს მომავალ სესიაზე, ნოემბერში უნდა დამტკიცონ. ამ ღონისძიებას საჭიროდ მიიჩნევენ ბაზარზე გადასვლისას მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

მაშ, ასე, უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის სესიას, მაგრამ პირველი ზარი, რომელმაც გვაფიქრა, რომ დედაქალაქი ემზადება საბარათო სისტემისათვის, გაისმა.

რაც შეეხება ფასებს, არავინ ჩქმალავს, რომ ისინი გაიზრდება. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდი ფასების მომატების შესახებ, ამან კი არ შეიძლება საცალო ფასების ზრდა არ გამოიწვიოს.

თუ საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება დედაქალაქში ბარათების შემოღების შესახებ, მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოს მიმართავს რეკომენდაციით გაავრცელოს ისინი მთლიანად რუსეთში ერთდროულად თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასთან ერთად.(საკდესი).

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მცირეოდენი „შესვენება“

კასპაროვისა და კარპოვის ოთხდღიანი შესვენების შემდეგ მეხუ